ფასი 60 კაპ.

ახალი ნაკადი

საქართველოს მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული ფედერალისტ მაშვრალთა პარტია.

კვირა, 2 თებერვალი.

№ 5 1919 წ.

ვაზეთი ამთავითვე გამოვა კვირაში ორჯერ—ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

ამხანაგო მუშებო!

დღეს თქვენ გეძლევათ საშვალება თამამად სთქვათ თუ ვის ანდობთ ქალაქის ბედს!

დღეს წყდება მისი „ყოფნა-არყოფნის“ საკითხი—იქნება უალრესათ დემოკრატიული—მუშათა ქალაქი თუ სხვადასხვა ბურჟუაზიულის კლასთა ბუნაგი!

მუშებო! თუ გსურთ რომ ქალაქის საბჭოს დარბაზში გაისმოდეს ნამდვილი დემოკრატიული—მუშების ხმა—თქვენი ვალია გაიუვანოთ ისეთნი, რომელნიც თქვენს ნებისყოფას და ინტერესებს პირნათლად დაიცავს. ასეთი პარტია არის მხოლოდ საქ. მემარცხენე სოც.-ფედერ. მაშვრალთა პარტია, რომელიც გამოდის მე-**7** №.

მაშ, ამხანაგებო მუშებო! თქვენი ხმა მხოლოდ მუშათა სიას

მე-7 №.

ამხანაგო მუშებო! ქალაქის არჩევნებში მიეცით თქვენი ხმა მხოლოდ მაშვრალთა ინტერესების დამცველთა სიის მე-7 №. იგი განამტკიცებს თქვენს უფლებებს თფილისის თვითმართველობაში.

დიდ-ქალაქი თებერვალის 2 **ხმა მიეცით** დღეს, ამხანაგებო მუ**მე-7 №-ს**. შენო, თქვენ საარჩევნო ყუთთან წარსდგებით, რათა შეასრულოთ თქვენი მოქალაქობრივი მოვალეობა. ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ თქვენ წრეში ჩვენი № 7 იპოვის სათანადო თანაგრძნობას, ჩვენ შეურწყველად გვჯერა, რომ მუშათა სოციალისტური პარტია მშრომელთა შორის თავის გამოძახილს უეჭველად შეიძენს. ჩვენ ისიც ვიცით, რომ ამ არჩევნებში ბევრი ტეხნიკური სიძნელე ვერ დაეძლიეთ და დროზე ვერ მივაწოდეთ ამომრჩეველებს ჩვენი ბიულეტენები, მაგრამ ის ხმები მაინც, რომლებიც ჩვენ სიას შეხვდება, იქნება მშრომელი ხალხის ხმები და ეს არის, რომ გვამხნევებს, ომედს გვინერგავს, ძალას გვიორკეცებს და ხამოქმედოთ მოგვიწოდებს. და ჩვენც გულღიად და თამამად ვიწყებთ მძიმე მუშაობას.

ჩვენ პარტიას, გამოყოფის შემდეგ ხინა—თავშესაფარი აღარ გააჩნდა და მხოლოდ ჩვენი მუშათა კლუბი (მუშტაიდის ქ.) დაგვრჩა ერთად-ერთ თავმოსაყრელ ადგილად. ვიკრიბებოდით, როგორც შეგვეძლო, რომ ორგანიზაციებისათვის საფუძველი ჩაგვეყარა. ღღეს ეს უპირველესი მოთხოვნილება პარტიული მუშაობისა მოვაწყვეთ და სათანადო მოქმედებაც დავიწყეთ. შეიძლება დღემდის პროვინციას შესაფერი ყურადღება ვერ მივაქციეთ, მაგრამ სულ მოკლე დროში ამის მოგვარებასაც მოვახერხებთ.

დიახ, ჩვენ ვგრძნობდით მთელს სიძნელეს დღესვე არჩევნებში ჩარევისას, მაგრამ ჩვენ ღრმად გვწამდა, რომ ჩვენი ტაქტიკა და პრინციპები—მრწამსი მუშური სოციალისტური პარტიისა ნათლად და გარკვეულად გვეკარნახებდენ, რომ არჩევნებში უეჭველად მიგვეღო მონაწილეობა და ჩვენი ხმაც ჩაგვერია ამრჩეველთა საერთო ხმაში. ჩვენ გვასულდგმულებს ის საიმედო მოვლენა, რომ მაშვრალთა ლაშქარი თანდათან ძლიერდება მშრომელთა თანაგრძნობით. ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორის სიხარულით მოდიან ჩვენთან ის მუშები, რომელთაც უწინ ჩვენი არა ესმოდათ რა. და **გამხნევებული მოუწოდებთ მშრომელთ ხმა მიეცით მხოლოდ მე-7 №.**

რას მოვითხოვთ ჩვენ ქალაქის საგჯოლში.

როგორც მკითხველები ჩვენი გაზეთის წინა ნომერში წაიკითხავდენ, ჩვენ განსაკუთრებული გზა გვაქვს საქალაქო მოღვაწეობისა. ჩვენ ვფიქრობთ, თუ ერთის მხრივ აუცილებელია მუნიციპალური ავტონომიის განმტკიცება, მეორეს მხრივ საჭიროა, რომ ქალაქი დაყოფილ იქნას უბნებად და თითოეულ უბანს საშუალება მიეცეს აირჩიოს საბჭო ადგილობრივ საქმეთა გასაძღოლად. ჩვენ ამ შემთხვევაში იმ მოსაზრებიდან გამოვდიგართ, რომ მშრომელი ხალხისთვის აუცილებელია, რათა იგი პირისპირ და უშუამავლოდ იღებდეს მონაწილეობას სახელმწიფო მართვა-გამგეობაში, რომ რაც შეიძლება ნაკლებად გრძნობდეს საჭიროებას „მოპოლიტიკე“ შუამავლებისას, რომელთა წრეშიაც ხშირად თავს იჩენენ განსაკუთრებული სახის „მოსაქმენი“. ამიტომ გვინდა, რომ ყოველგვარი მართვა-გამგეობა უაღრესად დეცენტრალისტურ ნიადაგზე იქნეს აგებული. ჩვენთვის უპირველეს მოთხოვნილებას შეადგენს, რომ ქალაქის საქმეებში მცხოვრებლებს ეკუთვნოდეს ინიციატივისა და რეფერენდუმის უფლება, რომ მათ შეეძლოთ ყოველთვის დაითხოვონ თვისი ნებისყოფით უმოქმედო და უსარგებლო საბჭო. ჩვენ დიდად გვაინტერესებს ქალაქის მცხოვრებთა ღარიბი ნაწილის განათებით, წყლით, ბინით სანოვაგით და ჯანმრთელობის მხრივ უზრუნველყოფა და შევეცდებით, რომ ყოველივე ეს მშრომელთა საკეთილდღეოდ იყოს მოგვარებული. ამიტომ ჩვენ დაუყონებლივ მოვითხოვთ, რათა ქალაქმა ააგოს იაფი და ჰიგიენური ბინები, რომ განსაზოგადოვდეს აფთიაქები, მიმოსვლისა, განათებისა და წყალსადენის დაწესებულებანი, აბანოები, სამრეცხველოები და საზოგადოთ ისეთი დაწესებულებანი, რომელნიც პირველი საჭიროების საგნების დამუშავებასა და მიწოდებას ემსახურებიან (ფურნეები, წისქვილები, ხორცის და ნავთის დუქნები და სხვ.). ჩვენთვის დიდი ყურადღების ღირსია, რათა ზედმეტი ბინა ჩამოერთვას ბურჟუაზიას და იგიც მშრომელთა შორის განაწილდეს. საქალაქო გადასახადები ჩვენის ღრმა რწმენით ქალაქის შეძლებულ ნაწილს უნდა აწვებოდეს მთელის სიმძიმით და მშრომელი ნაწილი კი მისგან ტვირთმძიმე არ უნდა იყოს.

ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ მათ ქალაქის თვითმართველობამ აღიაროს მუშათა სინდიკატები, რადგან ჩვენის ფიქრით მხოლოდ მუშათა სინდიკატებს შეუძლიძლიათ ითამაშონ გადამწყვეტი როლი მაშვრალთა საუკეთესო მომავლისათვის ბრძლაში.

ჩვენ დაწვრილებით არ აღვნუსხავთ ყოველივე იმას, თუ რას მივაქცევთ ყურადღებას საქალაქო მოღვაწეობაში. ჩვენ გვინდა ვირწმუნოთ, რომ ამხანაგი მუშები აქედანაც ნათლად დაინახავენ, თუ რა ასულდგმულებს საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. მაშვრალთა პარტიას. და ჩვენც მივუწოდებთ მათ, **ხმა მისცენ მხოლოდ**

მე-7 №.

დღეს არჩევნებია.

2 თებერვალი საქალაქო არჩევნების დღეა. დღეს ქალაქის მცხოვრებლებმა უნდა გამოსთქვან თვისი ნებისყოფა და გარკვეულადა სთქვან, თუ ვის ანდობენ ქალაქის სვებედს.

დღეს თფილისის მშრომელმა ხალხმა შეგნებულად უნდა გამოხატოს თვისი სურვილები და ამ სურვილების მიხედვით ხმა უნდა მისცეს **იმ ჯგუფს**, რომელიც გაანაღდებს მის ზრახვებს.

და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თფილისის მშრომელთა შორის ბევრი მოინდომებს თვისი ხმა მისცეს მხოლოდ მემარცხენე სოც.-ფედ. მაშვრალთა პარტიას.

ამხანაგებო! ჩვენ კარგად ვგრძნობთ, რომ სათანადოდ ვერ მოვაწყვეთ **ამ** არჩევნებში ჩვენი მონაწილეობა და დროზე ვერ მოგაწოდეთ ჩვენი ხმა, მაგრამ თქვენ იცით, ამხანაგებო, თუ რა პირობებში შეგვიხვდა დამოუკიდებელი გამოსვლა და მიგვიხდებით კიდეც ჩვენს მოქმედებას.

მშრომელთა ინტერესების მიხედვით, მოგაგონებთ ამხანაგებო, თქვენს მოვალეობას და მოგიწოდებთ, რომ თქვენი ხმა მისცეთ მხოლოდ

7 №.

ზოგიერთების საყურადღებოდ.

I

მემარჯვენე ფრთამ ფედერალისტებისამ სრულიად დაჰკარგეს სულის სიმშვიდე და მოსვენებას ვეღარ პოვილობენ; ისინი სისტემატიურად აწარმოებენ ჩვენზე თავდასხმას, მათ ასეთი პოლიტიკა იხმარეს, პრინცი-

ამხანაგებო, ხმა მიეცით მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტიის სიას.

№ 7

ჩვენი კანდიდატები თბილისის საქალაქო არჩევნებში.

1. წერეთელი ალექსანდრე იოსებისძე—პარლამენტის წევრი, ჟურნალის.
2. სულთანიშვილი გიორგი ივანესძე—ტრამვაის მუშა.
3. ლეჟავა ნიკოლოზ რომანისძე—ინჟენერი.
4. ჩომახიძე ერასტი გაბრიელისძე—რკინის გზის მუშა.
5. აბრამიშვილი მიხეილ ვლადიმერისძე—მასწავლებელი, ლიტერატორი.
6. კევლიშვილი ევსევი გიორგისძე—ტრამვაის მუშა.
7. კვერეხაძე ერმალოზ ივანესძე—ტრამვაის მუშა,
8. უსტიაშვილი ნიკოლოზ იაკობისძე—რკინის გზის მუშა.
9. სტურუა ანტიოხ ივანესძე—საზოგადო მოღვაწე.
10. ჩიქოვანი თეოფანე საბასძე—პროვიზორი.
11. ტუსკია აკაკი მელენტისძე—მხედარი.
12. ჩიკვაიძე გრიგოლ მეთოდესძე—მუშათა და ჯარის კაც. საბ. წევრი.
13. იოსელიანი ალექსანდრე იასონისძე—რკინის გზის მუშათა პროფესიონალური კავშირის სექციის წევრი.
14. ბარათაშვილი კარპეზ ფარნაოზისძე—ფარმაცევტი.
15. იაშვილი დავით ქაიხოსროსძე—პარტიული მუშა.
16. მაღრაძე ფილიმონ გიორგისძე—ტრამვაის მუშა.
17. ქავთარაძე შუშანიკა ფარნაოზის ასული—მასწავლებელი.
18. დვალი მარო ალექსის ასული.
19. ელიავა მიხეილ ელიზბარისძე—რკინის გზის მოხელე.
20. კაკოიშვილი გრიგოლ სვიმონისძე—მუშა.

ამხანაგებო!

მოემზადეთ არჩევნებისათვის. თქვენი ხმა მხოლოდ მე-7 №.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიალურ წერილებს ითავსებენ მთავარ კომიტეტის ორგანოში გაზ. „სახალხო საქმეში“ სალანძღავ ორგანოდ გაიხადეს ჩვენს მიერ დაარსებული გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“ ჯერ კიდევ წარწერა მუშათა კავშირის არ წაუშლიათ ჩვენ ადრე გავაცხადეთ რომ მუშათა კავშირი ფაქტიურად აღარ არსებობს. 13-ტი იანვრის შემდეგ. მაგრამ ისინი მაინც განაგრძნობენ ასეთ ცუდ წარწერას, მე არ ვიცი ეს ხალხი სხვას ატყვილებენ, თუ თავის თავს, იქნება ვახ. კოტეტიშვილის ვ. დუშურაშვილი მუშათა კავშირის წევრი გონია,? რომელიც ისე თუ ისე მისი არსებობა ბიუროზე არის დამოკიდებული;!

არა მე ასე ვიცი წესდება თუ არ ვსტყუვდები, მუშათა კავშირის წევრად ის ითვლება ვისაც დარგი პროფესია ირჩევს და წარმომადგენლად გზავნის; მაგრამ მე არ ვიცი მერკვილაძე დუშურაშვილი რომელი დარგის წარმომადგენელია? რომლებსაც ამ ორგანოში უპოვიად საწერა ადგილი და ანაზღეულად ეხებიან ჩვენ ვაცხადებთ ჩვენი ნამუსი წმინდა სპეტაკი; მაგრამ ეს შეიძლება ზეშო ნახსენებ პიროვნებებს უპრინციპობით მოზდიოდეთ! მათი მდგომარეობა დამოკიდებულია მატერიალურ მხარეებზე. ამიტომაც არის ჩვენ რო მიზანში ამოგვიღეს.

ვახტანგ კოტეტიშვილი რომელიც ჩამოშორდა მუშებს, და საკუთარ ორგანოდ გადაიქცია გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“ სისტემატიურად გვებრძვის, ეს მას არ შეშვენის არც ვფიქრობდით? მაგრამ არ ვიცი განზრახ ჩაიდინა თუ შეცდომით!

დანარჩენს რა უთხრა! ის ხალხი რომელიც არც ერთ წერილს ისე არ დასწერენ ხოლმე; რომ არ გაკიოდენ მშრომელი ხალხის დამცველნი ვართო. მაგრამ.., ეს იქიდან სჩანს ორი დღის წინად ტრამვაის დირექტორთან მოგზავნილი, ამტკიცებს ამ სიტყვას მთელი თვისი მნიშვნელობით; მან თვისი მოხდენილი ირონიით. მოახსენა ამიერიდან აღარ გაანთავისუფლოდ არც ერთი ტრამვაის მუშა, რომელიც სოც. ფედერალისტებს ეკუთნიანო: ამ თქმამ ძალიან გააკვირვა დირექტორი, და ასე უპასუხა, ჩვენ მუშებს არ ვზდევნითო. ამითი მე ვფიქრობ თავს იმცირებენ ეს ღრმა პოლიტიკოსები, რომელნიც სოც. დემოკრატები გვეკითხებოდენ სიცილით... აი კაცო! მემარჯვენეებმა კაცი გამოგზავნეს მემარცხენეები აწამეთო...

ეს არ შეშვენის თუ იქ კიდევ დარჩა ვინმე სოციალისტის, ბოლოხანებში მილიციასაც მიმართეს მაგრამ... ჩვენ ყველასთან ერთი პასუხი გვაქვს მზად; ჩვენ მართალნი ვართ!... და დემოკრატიულ სახელმწიფოში არავის ნება არ აქვს სოციალისტები სდევნონ;

ჩვენ კიდევ მოვაგონებთ ზემონახსენებ ხალხს თავი დაგვანებონ თავს ნუ გვესხმიან თვარა ჩვეი მშვენიერად შეგვიძლია თავის დაცვა გონებრივადაც ფიზიკურადაც: ყოველი მხრით გაიხსენეთ ჩვენ მუშები ვართ; თქვენი არაფერი გვმართებს, თქვენ კი ბევრი... მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ჩვენთვის ვართ და არ გეცილებით.

ევსევი კევლიშვილი.

მუშაგო თქვენი სია 7 № მიეცით მას ხმა.

ამხანაგო მუშებო! გახსოვდეთ რომ ჩვენი პარტია დღეს არ ჩვენებში გამოდის მე-**7** №. ხმა უნდა მისცეთ მას.

საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია არის რომელიც იცავს და უყვარს მშრომელი ხალხი! ხმა მიეცით ჩვენს სიას № **7**.

მაშვრალთა მგოსანი.

„გავჩუმდე თითქოს
ხელთა მქონდეს მე ჩემისგული;
„განა თქვენ ძალ გიძთ
დაამშვიდოთ ზღვა აღგზნებული!?..“

დიახ არ შეიძლება აღგზნებული ზღვის დამშვიდება როდესაც სასტიკი ქარტეხილი ზედ დანავარდობს და ქაფად ქცეულ ზვირთებს ზედი-ზედ აგორებს— ადამიანი მას ვერ დაამშვიდებს, რადგან ის სტიქიონია მძლეთა მძლეველი, კაცი ვერ შეაჩერებს ბუნების გმინვა ბობოქრობას; ეს ზღვა იყო ირ. ევდოშვილის გული, მასაც მოხვდა ცხოვრების ქარტეხილი, და ღელვა, აბობოქრა ზვირთები ქაფად უქცია, აამძვინვარა, ცხოვრებამ გამოიწვია ყოველივე ეს და იმისათვის იგი ველარ წყნარდება ვერ მშვიდდება ვიდრე ქარიშხალი არ მოშლის ქროლვას და ცხოვრების სიდუხჭირით აღშფოთებული ვერ შეჩერდება, ვიდრე ცხოვრების ქარტეხილი რა ჩადგება. ან და როგორ გაჩუმდეს, როდესაც ეს გაჩუმება შეუძლებელია? როგორ გაჩუმდეს როდესაც ეს გაჩუმება მის ბუნებას ზე აღემატება, როგორ გაჩუმდეს როდესაც მძიმე წამების ჯვარს აზიდვინებენ! დიახ, ვერ გაჩუმდება, როდესაც ხედავს რომ მაშვრალი ხალხი ტვირთ ქვეშა გმინავს, როდესაც გარს შრომა, ოფლის ღვრა, სიღარიბე, ძუნწი ცხოვრება ახვევია. ვერ გაჩერდება, რადრადგან ის ხალხის მგზობარია, მისი მგრძნობიარე გული, მშომელ ხალხის სულის სარკეა! პოეტი სჭვრეტს ცხოვრების სიდუხჭირეს მშრომელთა უმწეო მდგომარეობას, რომელიც როგორც პირუტყვი, ყველასათვისაა, ხოლო მისთვის არავინ! გარდა ვაების, ცრელის და ოფლის სხვა არა გააჩნია რა, მხოლოდ ესენი არიან მასთან განუყვრელად, მხოლოდ ესენი იზიარებენ მის გულის კვნესას.

,,მე ჩემს გარშემო მომესმის
კვნესა,
,,მაშვრალი ხალხი ტვირთ
ქვეშა გმინავს;
,,მათი ვაება უსამართლობა
,,ვითა ისარი გულსა
მიგმირავს;
„თავისი ცრემლით ნაბანი მკერდი
„მითხარით ერთი ვინ არ
ივიწყო“-სო.

გულის სიღრმიდან უძახის ეს მაშვალთა მგოსანი, და ჩვენ რომ გადავალოთ თვალი ირ. ევდოშვილის შემოქმედებას, დავინახავ რომ მისი მუზის სულის ჩამდგმელი ჩაგრულთა მწარე ბედის შესახებ ფიქრია, დავინახავთ რომ ირ. ევდოშვილი მხოლოდ მაშვრალთა მგოსანია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ჩაგრულ კვნესა-წუხილმა, მათმა ვაებამ, მათ უსამართლო ტანჯვამ ააქვითინა მისი ჩონგური, რომელებმაც გამოსცეს სევდის ხმა, მჩაგვრელებმა კი პოეტის სულში გამოიწვიეს ზიზღი და წყევა-კრულვა, რომელიც მეორეს მხრით ჩაქსოვილია მისი ჩონგურის სიმებში. დიახ, ირ. ევდოშვილი ჩაგრულთ მგოსანია. და ჩაგრულთ შორის მას თანასწორათ ჩაუთვლია გლეხი და პროლეტარიატი. იგი არა მარტო უკანასკნელს უმღერის, როგორც ეს ზოგიერთებს გონიათ, არა, იმისათვის ორივე ერთია, როგორც ჩაგრულთა ნაწილი; ის განურჩევლად ემსახურება საზოგადოთ მშრომელთ და ჩაგრულთ ინტერესებს, რადგან ის კარგათ ხედავს, რომ მათ ინტერესების შორის არ არის ისეთი წინააღმდეგობა რომ შეუძლებელი იყოს მათი ერთათ მოქცევა. მან კარგათ იცის, რომ ორივე მხარე იტანჯება ამისათვის ორივე მხარეს უყვის საბძოლველათ და დარწმუნებულია ორივე ნაწილი გაუვლება მის მძლე ძახილს უფლებათა მოსაპოვებლად.

(შემდეგი იქნება).

ტ. წალენჯიხელი.

სია № 7.

ვინც სამშობლოსა და მშრომელი ხალხის ბედნიერებისთვის იბრძვის — ის ხმას მისცემს **სიას 7** (შვიდ ნომერს).

მუშა-მშრომელთ, მაშვრალთ სია
დღეს შვიდია!
ვინც არ არის მატყუარა,
ვინც არ არის ცრუ და ფლიდი,—
დღეს მას კარგად გაეგება
თუ ვისია სია „7“...

ბედუნა.

ჩვენს პარტიაში.

დეპეშა.

მთავარი კომიტეტის წევრმა ამხ. ერმილე კვერეხაძემ სვირიდან შემდეგი დეპეშა მიიღო:

„შორაპნის მაზრის ამხანაგები— მრავალრიცხოვანი მუშები ნდობას უცხადებენ და უსურვებენ გამარჯვებას.

გრიგოლ ქავთარაძე.

კრებები.

24 იანვარს, შაბათს, საღამოს 7 საათზე, ნაძალადევის ეკლესიის ეზოში (სკოლაში) შესდგა მემარცხენე სოფ.-ფედ. მაშვრალთა პარტიის კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ალ. შარიქაძე. კრებამ მოისმინა ამხ. ალ. წერეთლის მოხსენება და შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა:

„ნაძალადევის მემარცხენე სოც.-ფედ. კრებამ მოისმინა ალ. წერეთლის მოხსენება ახალი პარტიის შესახებ და დაადგინა.

ვინაიდგან მუშათა კავშირის მიერ პარტიაში წარმოებულმა ოპოზიციამ ყოველივე საშუალება იხმარა, რომ ერთის მხრით დაეცვა პარტიის მთლიანობა და მეორეს მხრით პარტიის პრინციპიალური სახე. მაგრამ ამას წინ აღუდგენ პარტიაში შემთხვევით მოხვედრილი ინტელიგენცია. კრება ადასტურებს მემარცხენეთა მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და კრება ერთხმად ადგენს გამოაცხადოს თავი მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის წევრებად“.

სალამი ახალ ნაკადს ახალ მუშურ სოციალისტურ პარტიას.

ლეღვნელი.

კვირას, 26 იანვარს, საღამოს 7 საათზე საექიმო საზოგადოების დარ-

ბაზში შესდგა მრავალრიცხოვანი საერთო კრება საქ. მემარც. სოც.-ფედ. მაშვრალთა პარტიის წევრთა. კრებამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა.

„ქალაქ თფილისის მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის საერთო კრებამ მოისმინა ამხ. ალ. წერეთლის მოხსენება ჩვენი პარტიის დაარსებაზე და დაადგინა:

მთელის არსებით ემსახუროს ახალ წმინდა სოციალისტურ და რევოლიუციონურ პარტიას, ხელი შეუწყოს მის გაძლიერებას მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ და აღუთქვამს პარტიის მთავარ კომიტეტს სრულ დახმარებას მძიმე, მაგრამ წმინდა მოღვაწეობაში. კრება თავის უღრმეს გულისწყრომას უცხადებს ფედერალისტების იმ მცონარე ინტელიგენციას, რომელმაც ჩვენი პარტიის ხელმძღვანელების გარშემო დაბალი ხარისხის, მეტი რომ არა ვსთქვათ, ჭორიკანობის სუნი დაატრიალეს. დეე, იცოდენ ამ ვაჟბატონებმა, რომ მათი ცდა ყოველგვარ შედეგს მოკლებულია: უკვე არჩეულ ახალ გზას ამიერიდან ვერვინ დაგვაშორებს“.

სალამი „ახალი-ნაკადს“.

აღსრულდა... მუშათა მედგარმა ოპოზიციამ ლოღიკურად დაგვირგვინა თავისი მსვლელობა: იშვა ნაკადი; ცქრიალა მოლიკლიკე ტალღებმა დაანგრია ზღუდეები, რომელიც მას წინ ეღობებოდა... სულს უხუთავდა და თავისუფლად ამაყად მოსრიალებს თავისუფალს საქართველოს ზურმუხტოვან მდელოზე... მისი მწუხარე, მაგრამ მქუხარე ხმა გრგვინავს საქართველოს მიწა-წყალზე და მოუწოდებს თავდადებულ მებრძოლეებს ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის შემოკრბენ მის გარეშემო. ჩვენც გვესმა მშვენიერ ნაკადის მშვენიერი ღაღადისი—ჩვენც, ლიხის მთის პირას მცხოვრებთ, ნაკადმა გვაუწყა თავის ბორკილების ახსნა... გვაუწყა საქართველოს ერთგულ შვილების—მუშების სალამი... და ჩვენც რაღა დაგვრჩენია, თუ არ შევსძახოთ ახლად მოვლინებულ თავისუფლებისათვის მებრძოლ განთიადის მოციქულ ნაკადს. გეუმარჯოს მის წმინდა იდეალებს, გაუმარჯოს იმ გზას, რომალზედაც მირაკრაკებს მისი წმინდა ანკარა წყარო.“

ქ. ხაშური. ალ. ბარამიძე.

———

გულ რწფელ სალამს ვუძღვნით მუშათა ინტერესების დამცველ ორგანოს „ახალი ნაკადს“ და ვუსურვებთ თავის მიზნების და ძირითადი პრინციპების ცხოვრებაში გატარებას საქართველოს რევოლიუციონურ დემოკრატიის საკეთილდღეოთ ჩვენ შეურყეველად გვწამს და ღრმადა ვართ დარწმუნებული ეს განსასღვრული ჯგუფის ორგანო სულ მალე შამოიკრებს თავის ბრწყინვალე დროშის გარშემო მუშათა კლასს რომ გაორკეცებული და შეერთებული ძალით განვაგრძნოთ სვლა სოციალიზმის წმიდა გზისაკენ.

ამხანაგების მონდ.

დათიკო ჩხეიძე.

ამხანაგებო მუშებო, მოქალაქენო, ხმა მიეცით საქალაქო არჩევნებში მშრომელთა მედგარ დამცველს საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის სიას.

№ 7

სხვა და სხვა ამბები.

პორტუგალიაში.

ლისაბონიდან იტყობინებიან; ლისაბონის მეციხოვნე ჯარის უმრავლესობამ აღიარა მონარქია და მონარქისტებმა უმავთულო ტელეგრაფის სადგური დაიკავეს მეორე მხრივ ლისაბონიდან მოსული ცნობები მონარქისტულ მოძრაობის მოსპობაზე ლაპარაკობენ.

———

მუშათა პარტია ინგლისის პარლამენტში.

ლონდონის გაზეთების ცნობით მუშათა პალატის თავმჯდომარემ თანხმობა განაცხადა, რომ მუშათა პარტიის ლიდერებმა ოპოზიციის წინა სკამები დაიკავონ.

———

ირლანდიის პარტია.

დაარსდა ირლანდიის ცენტრალური პარტია, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია სტეფან გვეგენი. პარტიის მიზანია იშპერიის ერთგულთა თვითმართველობა და ირლანდიის საოლქო თვითმართველობა.

———

ხალხთა ლიგა.

სამშვიდობო კონფერენცია შეუდგა ხალხთა ლიგის საკითხის განხილვას. მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: კონფერენციამ განიხილა წინადადებანი ხალხთა კავშირის დაარსებისა და დაადგინა; ა) საერთაშორისო სიმშვიდის დასაცავად, მოკავშირეებმა ამიერიდან უნ და დამყაროს, აუცილებელია დაარსება ხალხთა ლიგისა—საერთაშორისო კავშირის ორგანოსი, რომელიც უზრუნველ ყოფს მიღებულ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებას და „დაიფარავს ომისაგან; ბ) ეს ლიგა, რომლის შექმნა არსებითი ნაწილია სამშვიდობო ხელშეკრულებისა, უნდა მისაწდომი იყოს ყველა განათლებული ერისთავის, ლიგის წევრები უნდა ყოველ წლივ იკრიბებოდენ საერთაშორისო კონფერენციაზედ, მათ ჰქონდეთ მუდმივი ორგანიზაცია და სამივდანბეგო, რომ კონფერენციათა ლიგის საქმეების თვალყურის დევნება შეიძლებოდეს. კონფერენცია ამიტომ კომისიას, რომელშიაც წარმოდგენილი იქნებიან მოკავშირეთა სახელმწიფოები, ლიგის კონსტიტუციისა და ატრიბუტების შესამუშავებლად.

———

ბოლშევიკური კრება ინგლისში.

„ტაიმსი“ იტყობინება, რომ ლონდონში 18 იანვარს შემდგარა ბოლშევიკური კრება, რომელზედაც მხოლოდ ბილეთებით უშვებდენ წევრებს. კრებაზე ირჩეოდა საკითხი საერთო გაფიცვის შესახებ, როგორც პირველი ნაბიჯი რევოლიუციისა. ბოლშევიკებმა განაცხადეს, რომ მათ ბევრი მიმდევარი ჰყავთ სამთო მუშებში და მათ შეუძლიათ მომხრეების გაჩენა რკინისგზის და სატრანსპორტო დაწესებულებათა მუშებში.

———

პორტუგალიაში.

მოსული ცნობების თანახმად პორტუგალიაში რესპუბლიკის მიმდევრები იმარჯვებენ მონარხისტებზე.

———

პეტერბურგში.

პეტერბურგის გაზეთი „რუსული ფურცელი“ იტყობინება. პეტროგრადში გამალებული შზადებაა ქალაქის დასაცლელად და ყოველგვარი ძვირფასეულების მოსკოვსა და ნოვგოროდში გადასატანად.

ახალი ამბავი

———

მილიციონერის დატუსაღება. ქ. ტფილისის საერთო და სისხლის სამართლის მილიციის რევიზიის კომისიის მიერ დატყვევებულია II კომისარიატის უმცროსი მილიციონერი კვერცხიშვილი რომლის მეთაურობითაც გორის მაზრაში დათარეშობდა ბრბო და რომელთა მსხვერპლნიც შეიქმნენ ამირეჯიბი, ციციშვილები და სხვანი. მასვე ბრალდება სხვა და სხვა ბოროტმოქმედების ჩადენა ქ. ტფილისში რომლებშიაც ბრალდებული გამოტყდა.

———

ბრძანება თბილისის მილიციისადმი. ქ. თბილისის მილიციის უფროსმა ბრძანება დაუგზავნა ყველა უბნების კომისრებს, რომლითაც წინადადებას აძლევს რომ მოვალეობას წესიერ ასრულებას მიაქციონ საჭირო ყურადღება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ წინააღმდეგ იქნება მიღებული სასტიკი ზომები.

საფრანგეთის ელჩის გაძარცვა. 31 იანვარს სალამის „ვაზნესენსკის ქუჩაზე რამოდენიმე შეიარაღებული ბოროტგამზრახველი მოუხდენ საფრანგეთის ელჩს და გაძარცვეს; წაღებულია ფული და ნივთები, რაოდენობა გამოურკვეველია.

———

სომხეთის პარლამენტი. დაშნაკცაკანების პარტიამ განცხადება შეიტანა რომ სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტი დათხოვნილ იქმნეს, ვინაიდან მათის აზრით პარლამენტის არსებობა არ შეადგენს აუცილებლობას. ამ განცხადების წინააღმდეგ არიან სოციალდემოკრატები და ს. რევოლიუციონერები.

———

მავნე აგიტაციისათვის. თბილისის გენერალ-გუბერნატორმა იცნო რა დამნაშავეებათ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აგიტაციის გაწევაში გ. აკოპოვი და მ. ავეტისოვი და მათ ქომაგათ ერნესტ დიტერლენი, დაადგინა—დატუსაღებულ იქნენ პირველი ორი სამ სამი თვის ციხეში ჩამწყვდეევით და შემდეგ გაძევებულ იქმნენ საქართველოს საზღვრებიდან, როგორც მავნე უცხოელები და უკანასკნელი კი ჩამწყვრეულ იქნეს ციხეში ორი კვირით.

———

დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისიამ სიები პარტიებისა და ჯგუფებისა უკვე დამტკიცა და გამოაქვეყნა.

———

უბედური შემთხვევა გუშინ ნაშუადღევის 2 საათზე გოლოვინის ქუჩაზე ავტომობილმა გასრისა 15 წლის ყმაწვილი, დაშავებული მიხაილოვის საავათმყოფოში წაიყვანეს, ვინარბა გამოურკვეველია.

ჩვენი ფოსტა.

ჩვენს კორესპონდენტებს! ამხანაგებო, მოგვაწოდეთ ცნობები პროვინციის ცხოვრებიდან და ჩვენი ბარტიულ ვითარება.

———

სამტრედია სერგო ბახტაძე. რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს რომ თქვენ წერილს ვერ ათავსებს ვინაიდან იგი დაიკარგა ამისათვის გთხოვთ ხელმეორეთ გამოგვიგზავნოთ იგივე წერილი.

რედაქტორ-გამომცემელ

სარედაქციო კოლეგია.

სტამბა „ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის“, გოლოვინის ქუჩ. ტელ. 4—73.